№ 180
სამშაბათი, 23 აგვისტო 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
0 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 180
სამშაბათი, 23 აგვისტო 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

სასტუმრო
«მანდემილი»
მთაწმიდის გორაზედ.

ვამზადებ ქართულსა და ევროპიულს სადილს და ვახშამს. მაქვს აგრეთვე სხვა-და-სხვა გვარი საუზმის სანოვაგე და სასმელები. ყოველივე სუფთად და წმინდად არის გაკეთებული.

(4—1645—2)

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთ უმორჩილესად ვაუწყებ, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში თხოვნების მიღება 25-ს აგვისტოს დაიწყება, მისაღები ეგზამენები კი 27-ს. პირველს განყოფილებაში 35 ვაკანსიაა თავისუფალი და 7-8 წლის მოსწავლე უეგზამენოდ მიიღება. მეორეში, მესამესა და მეოთხეში 6-8-10 შემთხვევითი ვაკანსია იქმნება. სწავლა 3-ს სექტემბერს დაიწყება.

ინსპექტორი სკოლისა ს. ყიფიანი

(6—6—2)

ახლად დაარსებული კერძო
სასწავლებელი
სტ. ზ. ხოჯავანოვისა

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, რეალურის სასწავლებლისა და კადეტის კორპუსის პირველ კლასებისათვის.

სასწავლებელი იმყოფება ქუთაისს, ტფილისის ქუჩაზედ, დადიანის ქუჩის შესახვევში, ხოჯივანოვის სახლში.

(3—1646—2)

დეპეშა

20 აგვისტო

პეტერბურგი. ბირჟა. გირავნობის ფურცელნი საადგილ-მამულო ბანკებისა: ტფილისისა $6^0/_0$—$101^1/_2$, $5^0/_0$—100; ქუთაისისა $6^0/_0$—$101^1/_2$; $5^0/_0$—$101^1/_2$ გაყიდულა.

სახელმწიფო საბჭოს წარედგინა პროექტი ახალის წესდებისა ვექსილების შესახებ.

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული და საბერძნეთის მეფის ძე გუშინ საღამოთი ბელოვეჟს გაემგზავრნენ.

ლონდონი. იაპონელთა 14 სამხედრო გემი 4,000 ჯარის კაცით თავს დაეცა არტურის ნავთ-სადგურს, სადაც 5,000 ჯარის კაცია ჩინელებისა. ჩინეთის ფლოტს ებრძანა იაპონელები უკუ აქციეთო.

რომი. მთავრობამ აღკრძალა გამართვა სოციალისტთა კრებისა, რომელიც ამ დღეებში იმოლს უნდა მომხდარიყო.

21 აგვისტო

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი გუშინ საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

გამოცხადდა კანონი, რომლის ძალითაც ჯამაგირი და პენსია უნდა მოემატოთ სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურეთ.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ყიზლარის ღვინოები ძლიერ კარგად იყიდება; ზოგიერთმა ფირმებმა სულ გაჰყიდეს ღვინო, რაც-კი მოიტანეს. წელს თეთრი და წითელი ღვინო $30^0/_0$-ით ნაკლებია მოტანილი შარშანდელზედ და უფრო დაბალიც არის; ფასი 2 მან. 60 კაპ.—3 მან. 25 კაპ.

ოდესსა. აქ მოვიდა დეპუტატი იტალიის პარლამენტისა ბარონი ჩიან-ჩოლო, რომელსაც ჰსურს გაიცნოს საქმე „ვლადიმირის“ დაღუპვისა. ჩიანჩოლო დაესწრება ამ საქმის გარჩევას სასამართლოში.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ ქალაქის მოურავმა ბ-მა იზმაილოვმა ხარკოვში გაჰგზავნა ქალაქის გამგეობის სახელობით ათასი მანეთი წმ. ნინოს ხატის სასყიდლად და დასასვენებლად იმ ნიშნი, რომელიც აშენებულია კურსკო-ხარკოვო-აზოვის რკინის გზის სადგურ „ბორკას‘‘ ახლოს მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა და უავგუსტოესის ოჯახის სიკვდილისაგან გადარჩე-

ფელეტონი

„ახალ-სინტეზ-სისტემოვანი“ ისტორიული და ხუროთ-მოძღვრებითი მეცნიერება ბ-ნ გ. წერეთლისა.

„მიექცეს სიცრუვე მათი თხემსავე მათსა“
(ფსალმუნი)

(ვუძღვნი ჩემს რიონელ-გოგიტელას)

(შემდეგი*)

მეცნიერი ისტორიკოსი იმას ჰქვიან, ვინც საფუძვლიანად შეისწავლა წინანდელთა გამოკვლევანი და ახალ საბუთებით, აზრებით, დასკვნებით რამდენადმე მაინც წინ წასწია ისტორია. გარდა ამისა ყოველი დასკვნა მეცნიერისა უნდა იყოს დამყარებული გარკვეულ და გაცხრილულ საბუთებზედ, ხოლო თითოეულს საბუთს იქვე უნდა ჰქონდეს ნაჩვენები თვისი წყარო ანუ „სამოწმებელი“.

ახლა გადაავლეთ თვალი აურაცხელს გ. წერეთლის მეცნიერულ სტატიებს, რომელიც დაუწერია ძველთა, აწინდელთა და მყობადთა მეცნიერთა „ხელ-სამძღვანელოდ ახალ სინტეზ-სისტემით“ და დარწმუნდებით, რომ გ. წერეთლის ისტორიულ „აბდა-უბდა-გადასკუპდ“-ებს მთელს მისს ვრცელს მანძილში ვერც ერთს სამოწმებელს ვერ უპოვით (გადაათვალიერეთ, მაგალითად, „კვალი“ 1893 წ. №№-ით: 3, 5, 6, 8, 11, 13, 14, 16, 22, 25, 26, 27 და სხვ. და 1894 წ. №№: 1, 9, 10, 11, 12, 13, 18 **) და სხ.), ან რად უნდა მეცნიერთა მოძღვართ-მოძღვარს და „გონება დამძიმებულთა“ ,,ხელმძღვანებელს‘‘ ფაქტები და საბუთები? თვით გ. წერეთელი მისის „მოძღვართ-მოძღვრებითის ავტორებით“ ისეთი საბუთია, რომლის წინ მეცნიერებამ თავი უნდა მოიდრიკოს. მოგიყვებათ გ. წერეთელი ძველს ამბებს, ასე იყო თუ ისეო, და თქვენ უნდა მოწიწებით ენდვნეთ იმისს დაუსრულებელს ლათაიობას. აი, ეს გახლავთ ის მოსალორებელი ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპებიანი ,,ხელსამძღვანელო‘‘! ვაჰ, ჩვენს მოსწრებას!..

რაც შეეხება გ. წერეთლის მიერ მოპოვებულს, განმარტებულს და მეცნიერულად გამოკვლეულს ახალს სამეცნიერო საბუთებს და საქართველოს ისტორიის წინ წაწევას, ამის შესახებ ლაპარაკიც-კი სირცხვილად მიმაჩნია. რაც არ გაუფუჭებია გ. წერეთელს, არა რა გაუკეთებია მეცნიერებისთვის. მისი ავ-კარგიანობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ მკითხველს საზოგადოებას ზოგიერთს ისტორიულს ცნობას გარყვნილ-გადამახინჯებულს მიაწვდენს ხოლმე. ერთის სიტყვით, გ. წერეთელი სრულიად მოწყვეტილია მეცნიერებისგან, იგი უბრალო ბელეტრისტია, გინა მდარე „პუბლიცისტი“. ამ თვისს სარბიელს რომ დასჯერდებოდეს, დიაღ კარგს იზამს, რუსთველისებრ: „რაცა ვის ბედმან არგუნოს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“... მაგრამ რა ჰქნას „mania grandiosa“-ობის გაუმაძღარმა წყურვილებამ!..

ახლა კერძო მაგალითებს შევუდგეთ გ. წერეთლის ცრუ-მეცნიერებისას. მაგრამ ესეთი მაგალით-ნიმუშები გ. წერეთლის ნაწერებში იმდენად აურაცხელია, რომ იმის ჩამოთვლას თითოეულად რომ მოვყვე, თქვენც მოგაწყენთ, მკითხველო, და მეც ამაოდ მოვცდები. მე გიჩვენებთ მხოლოდ რამდენსამე, მაგრამ დიაღ შესანიშნავს, დამხასიათებელს ნიმუშს, რომელშიაც იხატება სრული სურათი გ. წერეთლის მეცნიერებისა. ეს სურათი მე დავხატე, თუმცა-კი გაკვრით და თავ-დაჭერილად, ,,ისტორიულ ოფოფებში‘‘: დედა-ძარღვი გ. წერეთლის ისტორიულ მეცნიერებისა გახლავთ ,,ჰაეროსნება‘‘, ანუ ფანტაზიის მჩატე ფრთებით ჰაერში ფრენა-ნავარდობა (მისის პოეტობის ნაფოტ-ნატეხი). ფაქტისა მას ხან სჯერა (თუ მისს ფანტაზიას ხელს უწყობს) და ხან არა (თუ არ ეთანხმება მისს საკუთარს ნება-გრძნობას), ამის გამო იგი ხან დიდ საუნჯედ სთვლის მინაწერებს და საბუთებს, ხან-კი თვალს არიდებს, აფურთხებს, როგორც ,,უმეცარ ბერების და დიაკვნების ნაჯღაბნს‘‘. ხშირად საბუთებს იმ სახეზე და გემოზე გადააკეთებს, როგორც შეეფერება მისს გუნებას, წუთიერს მდგომარეობას მისის ,,პსიხოლოგიისას‘‘. ერთის სიტყვით, მას მტკიცედ არც ერთი მწერლობითი საბუთი არა სწამს, გარდა თვისის თავისა და ნება-გრძნობისა, რომელიც მუდამ ჭეშმარიტი საზომისაა ისტორიულ საბუთების ავ-კარგიანობისა. მაგრამ რადგან ნება და გრძნობა კაცისა, მისი ფანტაზია წუთიერია და ჟამ ყოველ ცვალებადი, ამის გამო გ. წერეთლის დასკვნები ერთსა და იმავე საგანზე, მაგრამ სხვა-და-სხვა დროს გამოთქმული, სხვა-და-სხვა გუნებაში დაწერილი, სხვა-და-სხვაა; ხშირად ერთი მეორისა სრული წინააღმდეგია; და შესანიშნავიც აქ ის არის, რომ გ. წერეთელი ესრეთს თვისს პსიხოლოგ-მეცნიერულ მდგომარეობას ვერა ჰგრძნობს და წინა-ნათქვამი არც-კი ახსოვს, როგორც ჩვენც არ გვახსოვს, მაგალითად, შარშან-წინდელი ჩვენი ოცნება და ფანტაზიის მსუბუქ ფრთებზე ჰაერ-ოკეანეთა და ცის კიდით-კიდეთა მიმოსვლა-მიმოგონება. განა პოეტის ფრთოსანს ფანტაზიას საბუთების საბელ-ჯაჭვი დააბამს?!

ავიღოთ მაგალითად მოქვის ტაძრის მეცნიერული აღწერა გ. წერეთლისა 1893 წ. („კვალი“, № 16) და იმავე ტაძარზე მისივე მეცნიერული აზრები, სხვა გუნებაში და სხვა დროს გამოთქმული მისგანვე („კვალი“ 1894 წ. № 25) და შევადაროთ ერთმანეთს ორივე მარგალიტი:

,,კვალი‘‘ 1893 წ. № 16:	,,კვალი‘‘ 1894 წ. № 25:
«... ცხადია, რომ ორ წელს იგი (მეფე ლეონ აფხაზეთისა, † 957 წ.) ვერ აღაშენებდა დიდებულს ტაძარს... შეიძლება მან მხოლოდ დაასრულა მოქვის ეკკლესიის აშენება, დაწყებული გიორგი I-ის აფხაზთა მეფის მიერ... მეცნიერმა პავლინოვმა დაწვრილებით გამოიკვლია მოქვის ტაძრის გეგმა და მეცნიერული (sic) დასაბუთებით დაამტკიცა, რომ იგი მეათე საუკუნეშია აშენებული ქართულ ხუროთ-მოძღვრების ნიმუშებზედაო...»	„მოქვი. თუმცა „ქართლის ცხოვრება“ ლეონ მეფეს აფხაზეთისას († 957) მიაწერს (მოქვის აშენებას), მაგრამ თვით გეგმა სრულებით მოგვაგონებს კიევის ტაძარს წმიდის სოფიისას, მეთერთმეტე საუკუნის გასულს... იგი აშენებულია (დოროთეოსით) მეთორმეტე საუკუნეში».

მოდი და ეხლა ენდე ამ ,,ახალ-სისტემ-სინტეზს‘‘. ჯერ გ. წერეთელი გვარწმუნებს, რომ, წინააღმდეგ ,,ქართლის ცხოვრებისა‘‘, მოქვის ეკკლესია აშენებულიაო გიორგი მეფისაგან (და არა ლეონისაგან) მე-X საუკუნის დასაწყისს, მერე იგივე გ. წერეთელი გადმოაბიჯებს XII საუკუნეზე, 150—200 წლის ნახტომს აკეთებს! ეს მით უფრო საკვირველია, რომ მოქვის ტაძრის მეათე საუკუნოობა მეცნიერულის დასაბუთებით და დაწვრილებით გეგმის გამოკვლევით ,,დამტკიცებული‘‘ ყოფილა თვით გ. წერეთლისაგან და მერე მეცნიერის აკადემიკოსის პავლინოვისაგან. სად გაგონილა, რომ ერთჯერ დამტკიცებული მერე დარღვეულიყოს? მაშ შეიძლება დღევანდელა ,,ორჯერ-ორი—ოთხი‘‘ ხვალ იქცეს ორმოცად! მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება კიდევ იმ მხარეს, რომ პირველ სვეტში დამტკიცებულია, რომ მოქვის ტაძარი წმინდა ქართულ გეგმისა არისო, ხოლო მეორე სვეტში-კი, წინააღმდეგ ამისა, ეს ტაძარი ბიზანტიის გეგმისაა და არა ქართულის ხუროთ-მოძღვრებისა. ნუ თუ არ გაცვიფრებთ ესრეთი უკუ-მთქმელობა, გარდამთქმელობა და „გადაქნა“? „აჰა ჩემო მანასეო, იქ ისე და აქ ასეო“.

კიდევ მაგალითი:

„დოროთეოსის აზრით მოქვის ტაძრის შინაგნითი კედლები ყოფილა დახატული დავით აღმაშენებლის დროსა“ («კვალი» 1893 წ. № 16).	„მოქვის ზედ-წარწერა გადმოღებულია პატრიარხ დოროთეოსის მიერ 1659 წ. და ნაიდვილად ამტკიცებს (წარწერა?), რომ იგი აშენებულია მეთორმეტე საუკუნეში“ («კვალი» 1894 წ. № 25)-

---

*) იხ. „ივერია“, № 179.

**) მთელს ამ დაუსრულებელ მანძილში ვერ იპოვით ვერც ერთს სამოწმებელს, თუმცა ავტორი ხშირად გვაყრუებს ცალიერ წინადვე გაზეპირებულ სახელებით ძველთა და ახალთა ისტორიკოსთა. ორიოდ «ციტატებს» ნაჩვენები არა აქვს გვერდი წიგნისა, ასე რომ მთელი წიგნი უნდა წაიკითხოთ, რომ დარწმუნდეთ, მართლა ეგრე სწერდა გ. წერეთლის მიერ ნაჩვენები მწერალი. ხშირად იმდენს ბურუსს მეცნიერთა ცალიერის სახელებისას მოგახვევთ, რომ არა-სპეციალისტი უბრალო მკითხველი გაშტერებული და გაშეშებული რჩება გ. წერეთლის საოცარის ცოდნა-მეცნიერებით.

ნის სახსოვრად. აბასთუმანში 729 მან. შესწირა ქალაქის მოურავად ნამყოფმა, თავ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა და დანარჩენი წვრილ-წვრილად მოგროვილი შესაწევარი.

⁂ ბუხარას ემირის ამალა ტფილისში ჩამოვიდა გუშინ. მისი ბრწყინვალება-კი პიატიგორსკიდგან ყირიმში გამგზავრებულა, საიდგანაც აბასთუმანში მივა და სექტემბრის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვა.

⁂ ხივას ხანი გუშინ ბაქოში გაემგზავრა.

⁂ გუშინ ბ-ნმა ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ყველა ბოქაულებს, რადგანაც ტფილისში საეჭვო ავადმყოფობით ორი კაცი გახდა ავად, ეხლავე ყურადღება მიაქციეთ ნესვსა და საზამთროს გაყიდვას, ყოველ დღე მიიწვიეთ ექიმები ხილეულობის შესამოწმებლად და რაც უვარგისი ხილია, მაშინვე გადაუყარეთო.

⁂ 20 ამ თვისას ტფილისში ჩამოვიდა პროფესორი უნივერსიტეტისა ალექსანდრე ანტონის ძე ცაგარელი.

⁂ როგორც გვაუწყებენ, ტფილისის სახელმწიფო თეატრის დირექტორად დაუმტკიცებიათ ნაფიცი ვექილი ბ-ნი აპჩინინი.

⁂ ტფილისში არსდება ახალი სცენის მოყვარეთა საზოგადოება. საზოგადო არსდება საერო თეატრის დასაფუძნებლადა და რუსულ, ქართულ და სომხურ წარმოდგენების გასამართავად. მოთამაშენი სცენის მოყვარენი იქმნებიან, მხოლოდ რეჟისორად-კი არტისტი ეყოლებათ. ამ თეატრში წარმოდგენის ბილეთი ერთ შაურიდგან ათ შაურამდე ეღირება. ამის გარდა ამ საზოგადოებას, როგორც მის წესდების პროექტიდგანა სჩანს, თავისი კლუბი ექმნება, სადაც აგრეთვე წარმოდგენებს გაჰმართავენ საზოგადოების წევრთათვის და მათ მიერ კლუბში მოყვანილ სტუმრებისათვის. ამ კლუბს ექმნება სათეატრო წიგნთ-საცავი, სადაც შეგროვილი იქმნება მრავალი ძველი და ყველა ახალი პიესა და სათეატრო ჟურნალ-გაზეთები. რადგანაც ტფილისში მრავალს ჰსურს, სასცენო ხელოვნება შეისწავლოს, ამიტომ საზოგადოება დააარსებს სათეატრო სასწავლებელს იმ ნაირად, როგორც მოსკოვშია ამ ჟამად. სასწავლებელში სცენის მოყვარეთათვის მიწვეულნი იქმნებიან მასწავლებელნი სამივე ენისა, ე. ი. ქართულისა, რუსულისა და სომხურისა. ამავე სასწავლებელში ასწავლიან დეკარაციების ხატვასა. ამ საზოგადოების დამაარსებელნი ას სულამდეა და ყოველმა ამათგანმა მთავრობის მიერ წესდების დამტკიცებისათანავე უნდა შეიტანოს ათი თუმანი. ამ გვარად საზოგადოებას დაარსების დღესვე ექმნება 10,000 მან. თანხა.

⁂ ლანჩხუთი. 21 აგვისტოს, საღამოს, ლანჩხუთიდგან 37 ვერსტზედ მატარებლის ქვეშ ჩავარდა და ძლიერ დაშავდა რკინის გზის დარაჯი ვიქტორ კვაჭაძე. დაშავებული სამტრედის საავადმყოფოში გაგზავნეს.

⁂ როგორც ვიცით, უკანასკნელ ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის წევრთა კრებამ მიანდო ამ ბანკის მმართველობისა და ზედა მხედველ კომიტეტის შეერთებულს კრებულს, შეძლებისდა გვარად შემწეობა მიეცათ დრამატიულ საზოგადოებისთვის, რომელიც წარმოდგენებს ბანკის თეატრში ჰმართავს. შეერთებულმა კრებულმა 19 აგვისტოს განიხილა ეს საქმეო, სწერს „ნოვ. ობოზ“. და დაადგინა, წარსულ წლებისამებრ დაეხმაროს დრამატიულ საზოგადოებას და 1,000 მანეთი მისცეს თეატრის შემოსავლიდგან.

⁂ სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, რომ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ა. ს. ერმოლოვს თან მოსდევენ ვიცე-დირექტორი სატყეო დეპარტამენტისა ტიხანოვი და მინისტრის სეკრეტარი ლ. პ. ზაბელლო.

⁂ გორი. 21 აგვისტოს გორის ქალაქის საბჭოში შეიკრიბა თოთხმეტი ხმოსანი, რომელთ უნდა აღმოერჩიათ ქალაქის მოურავი. შემდეგ ჯეროვანის ფიცის მიღებისა, ხმოსნებმა კენჭი უყარეს ორს კანდიდატს: ბ-ნს ისააკ გრიგოლის ძეს გულიშამბაროვს და თავადს ანდრონიკაშვილს. პირველმა მათგანმა მიიღო ცხრა თეთრი კენჭი და ხუთი შავი, მეორემ კი—ხუთი თეთრი და ცხრა—შავი. ამ გვარად ამორჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად ბ-ნი გულიშამბაროვი. მოურავის პირველ თანაშემწედ იქმნა აღრჩეული ბ-ნი ხოჯაშვილი, მეორე თანაშემწის არჩევანი დანიშნულია სამშაბათს, 23 აგვისტოსათვის. გორის მკვიდრთა უმეტესობა, წოდებისა, სარწმუნოებისა და ეროვნების განურჩევლად, დიდის სახარულით მიეგება გულიშამბაროვის ქალაქის მოურავად აღრჩევას. ბ-ნი გულიშამბაროვი ცნობილია მთელის თოთხმეტის წლის განმავლობაში, როგორც თავისს საქმის მუყიათი და ერთგული კაცი; საკმაოდ დახელოვნებულია სხვა-და-სხვა საქალაქო საქმეში, დღეს კლუბის მამასახლისად და ხაზინადრად ჰმსახურებს. იმედია, რომ ახლად აღრჩეული მოურავი მთელს თავის ღონეს, გონებას და მუყიათობას შესწირავს გორის ქალაქის მკვიდრთა კეთილდღეობას და განსაკუთრებით ქალაქის დაქვეითებულის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას.

⁂ „ნოვოე ვრემია“ სწერს, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა კავკავის, ეპისკოპოსი ვლადიმირი პეტერბურგიდგან უკვე წავიდა მისდა რწმუნებულ ეპარქიაში.

⁂ გაზ. «ნოვ. ობოზ». პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ ანტვერპენის გამოფენაზედ კავკასიელთაგან საპატიო მოწმობა მიიღო ენფიაჯიანცმა; ვერცხლის მედლები—ხუმლაროვებმა, ოჰანესოვებმა, მელვინოვმა და გულიშამბაროვმა; ბრინჯაოს მედლები—გურგენიძემ, ალიხანოვმა დი თაიროვმა. ამ ჯილდოებს სექტემბერში დაარიგებენო.

⁂ ორშაბათის თავისს გაზეთში „ნოვ. ობოზ“. ერთს უცნაურს ამბავს გვაუწყებს. აი ეს ამბავი: „ამ სამის დღის წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო პაწია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭოს სარევიზიო კომისია ჰსინჯავს ამ ჟამად ძველ დავთრებს ტფილისის ქალაქის დედათა საავადმყოფოსასა და მიხეილის სახელოსნო სასწავლებლისასაო; ეს წიგნები ამ ჟამად დიდად უწესოდ და ურიგოდ არის ნაპოვნიო. ამ შენიშვნამ მიზეზი მისცა ქალაქის მოურავს სამარცხვინოდ გაეძევებინა ქალაქის გამგეობის სადგომიდგან ჩვენი რეპორტერი, რომელსაც ამასთან აღუკრძალა თურმე, ამიერიდგან ცხვირს ნუ შეჰყოფთ იქ, სადაც თქვენ არას გეკითხებიანო. აშკარაა, ჩვენი გამგეობა გოგოლის გოროდნიჩის დრო-ჟამს უბრუნდებაო“!

⁂ იმ კომისიამ, რომელმაც უნდა დააარსოს თურქესტანში სახელმწიფო ქონებათა სამმართველო, რომლის წევრებადაც არიან სამხედრო გუბერნატორი სირ-დარიის ოლქისა ნ. ი. კოროლკოვი, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს სამეურნეო საზოგადოების ინსპექტორი ნ. ა. დინგელშტეტი და ტფილისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობის თანაშემწე ო. ვ. მარკგრაფი, შეიმუშავა პროგრამა ამ სამმართველოს მოქმედებისა თურქესტანში. ყველაზედ მეტი ადგილი ამ პროგრამაში დათმობილი აქვს ხელოვნებით მორწყვას მიწისას. პირველში 50,000 დესეტინა მიწას უპირებენ მორწყვას, რისთვისაც კომისია სთხოვს მთავრობას 500,000 მან. შემდეგ ყუ-

---

ჰხედავთ? აქ დოროთეოზის (?) აზრით მოქვის კედლები-და ყოფილა დახატული დავით მეფის მიერ (საიდამ ჩაუმატეთ დავით აღმაშენებელი?), ხოლო აქავე გვერდზე იგივე დოროთეოს(?) ნამდვილად (ე.ი. შეურყევლად) ამტკიცებს (აბა სად?), რომ მოქვი აშენებული (და არა დახატული) მეთორმეტე საუკუნეში! „გადაქნაც“ აი ამასა ჰქვიან!—მერე რა უნდოდა პატრიარქს დოროთეოსს საქართველოში, მეცნიერთა „ხელმძღვანელო“ ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპების პატრონო გ. წერეთელო? თქვენი რისხვა მქონდეს, თუ პატრიარქი დოროთეოსი XVII საუკუნეში მთელს დედამიწაზედ, ყოფილიყოს! შეიძლება თქვენ მეცნიერთა-უმეცნიერესობას გადაგერიათ სახელები დოსითეოსისა და დოროთეოსისა? ან კორექტურამ თუ დააშავა? მაგრამ არა: შარშანაც დოროთეოსი ერქვა თქვენგან შექმნილს გადაქნილ პატრიარქს და წრეულსაც იგივე სახელი შერჩენია. აქ კორექტურა და ასოთ-ამწყობები, განა უბრალო წაცდომა რა შუაშია? აქ პირდაპირ ღაღადებს თქვენი „არა-ცოდნა-არა-ცოდვა“ და არა მეცნიერება. თუნდ ერთს წამს დავიჯეროთ, რომ შარშან და წელსაც წაგცდათ, მაგრამ ცრუობას მაინც ვერ წაუხვალთ, რადგან 1659 წელს დოსითეოსი არ იყო პატრიარქად იერუსალიმსა და არცა პატრიარქობის ხარისხი ჰქონია, თუმცა-კი იყო საქართველოში 1658 წ. (და არა 1659-ს) როგორც მხლებელი პატრიარქისა (აბა გამოიცანით რომლისა?). ეს მწვრილმანია, მაგრამ თქვენისთანა მეცნიერთა მოძღვრისთვის-კი დიაღ დიდი დვირეა თვალში (Brosset: Addit. p. 173—175; Hist. de la Géor. I, p. 621).

ბედიის ეკკლესია ბაგრატ მესამის აღშენებულია გ. წერეთლის „სტატიით“ («კვალი» 1893 წ. № 13), ხოლო იგივე ტაძარი იმავე გ. წერეთლის მეცნიერულ გამოკვლევით აღუშენებია გიორგი II-ს («კვალი» 1894 წ. № 13).

რას უნდა გამოეწვია ეს საოცარნი უკუმთქმელობანი?—სულ უბრალო გარემოებას, გ. წერეთლის სხვა-და-სხვა დროს სხვა-და-სხვა პსიხოლოგიურს მდგომარეობას! მაგრამ ამ უკანასკნელს შემთხვევაში-კი გ. წერეთლის ცრუობა უმანკო პოეტური ცრუობა-კი არ არის, არამედ წმინდა პროზაული და ანგარიშიანი ცრუმეტყველება გახლავთ. ამის დასამტკიცებლად საკმაოა მოვაგონო მკითხველს ის მცირე გარემოება, რომ პირველი „სტატია“ დაწერილია „ისტორიულ ოფოფებამდის“, ხოლო მეორე გადმოდუღებულია გ. წერეთლის კალმის წვერიდამ იმ ნარ-ცეცხლის შემდეგ, რომელიც მოედვა მისს ისტორიულს და „ხუროთ-მოძღვრებითს“ მეცნიერებას „ოფოფების“ წყალობით. ოთხიოდ სტრიქონით „ოფოფებმა“ გაანადგურეს მეცნიერული დასკვნა გ. წერეთლისა, შესახებ იმისა, რომ ვითომ ტაძრების აღმოსავლეთის კედლის გრკალიანობა მათს სიახლეს ნიშნავდეს, ხოლო პრტყელიანობა-კი—მათს სიძველეს. „ოფოფებმა“ აღმოაჩინეს, რომ უმეტესს ნაწილს ძველ ტაძრებისას აღმოსავლეთის კედელი მგრგლოვანი აქვს: ჯვარისას (VII საუკ.), ატენისას (VIII საუკ.), მოქვისას (X), სიონისას (VII), მარტვილისას (X) და სხ. მეტი რა ღონე დარჩენოდა; აიღო გ. წერეთელმა და წამ-წამის დახამხამებამდის ყველა ეს ტაძრები მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნისად „გადაქნა“, ზოგი რამდენჯერმე დაარღვია და ააშენა კიდეც. მოქვის ტაძარიც მეათე საუკუნიდამ სასწაულებრ მეთორმეტე საუკუნეში გადმოახტუნა, აცრუვებინა თვით პატრიარქს, მეცნიერს პოლივანოვს და სხვათა, თვით იცრუა და გაგვაცრუა.

ტაძარი ატენიც მეთერთმეტე საუკუნეში გადმოიტანა (თუ დასჭირდა, ერთს წამსვე პირველ საუკუნემდისაც ასწევს, თუ ინება მეოცე საუკუნემდისაც ჩამოსწევს, ყველა შეუძლია!) და დ. ბაქრაძის დამტკიცებ-დასაბუთებანი სრულიად წყალს მისცა: „ატენის სახუროთ-მოძღვარო და საქანდაკო სტილი, სწერს დ. ბაქრაძე (ისტორია, გვ. 119), გუმბათის მოყვანილობა და თვით პლანი მოგვაგონებს ჯვარის მონასტერსა ,... ე. ი. მე-VII საუკუნეს. შიგნით კედელზე ერთს ადგილს, სადაც მეთერთმეტე საუკუნის მხატვრობა დაცვინულა, აღმოჩნდა ძველი კარგად შენახული წარწერა:... აგვისტოსა: ე: დღესა შაბათსა. ქორ: ოგ: (853 წელს)... ტფილისი დაატყვევა ბუღამ... „ცხადია, სწერს განსვენებული არქეოლოგი, რომ წარწერა ეკუთვნის თანამედროვეს ბუღასას... ხოლო აშენება ეკლესიისა ბევრით ადრინდელ დროისა უნდა იყოს, ვიდრე წარწერა“ და სხ. ამაზე უმტკიცესი საბუთი შეუძლებელია მოიპოვოს კაცმა დასამტკიცებლად იმისა, რომ ატენის ტაძარი მეთერთმეტე საუკუნეზე ადრე ყოფილა აშენებული, მაგრამ გ. წერეთელს აბა რომელ საბუთებით დაიჯერთ, მეტადრე როდესაც თვითონვე მეცნიერულ სიცრუვის ძელზე მიბმულ-მიჯაჭვულია და მისი ხუროთ-მოძღვრებითი „ახლ-სისტემ-სინტეზ-პრინციპების მეცნიერთათვის დაწერილი ხელ-სამძღვანელო“ დასკვნები განსაცდელშია ჩავარდნილი ატენის ტაძრის აღმოსავლის კედლის გრკლოვიანობით და ჩვენის ორიოდ შენიშვნით.

გ. წერეთელი ბრძანებს: ატენის ტაძარი დარღვეულა სრულიად და განახლებულაო რუსუდან მეფისაგან XIII საუკუნეში. ესეც სრული სიცრუვეა, გ. წერეთლის გამოგონილი: თუ სრულიად დაირღვა ეკკლესია XIII საუკუნეში, მაშ როგორ შერჩა ძველი წარწერები წინანდელის საუკუნეებისა? ამას რა დიდი განჭვრეტა უნდა? ან რა სასწაულით მოხდა, რომ დღესაც მეთერთმეტე საუკუნის მხატვრობა დარჩენილია ტაძარში, როგორც დ. ბაქრაძე ჰმოწმობს და ჩვენც გვინახავს, ხოლო გაჯის ქვეშ შეუნიშნავთ მეცხრე საუკუნის მხატვრობის ნაშთი და თანამედროულის ძველის ასოებით ნაწერი წარწერა 853 წლისა? რა დიდი მეცნიერება უნდა ამის განჭვრეტას?! მაგრამ რა შუაშია ჭკუა და ლოღიკა იქ, სადაც ფანტაზია და გუნება ნავარდობს? გ. წერეთელს რომ დ. ბაქრაძის ისტორია მაინც დაეძლია (მატიანეზე ვინ იტყვის!), ესრეთი ოფოფები დღეს არ ეყოლებოდა. კიდევ მაგალითები:

„ტფილისის სიონის ტაძარიო, ბრძანებს გ. წერეთელი, დარღვეულია საფუძვლადმდე მეცამეტე საუკუნეში ჯალედინისაგან“. ცოცხალი სიცრუვეა: გადავშალოთ „ქართლის ცხოვრება“ (I, გვ. 354) და წავიკითხოთ: „ხელ-ჰყო (ჯალ-ედინმან) სიონისა გუმბათსა შემუსრვად და ზედა პილწისა მის საჯდომისა აღშენებად“. ცხადია, სიონი ჯალ-ედინს არ დაურღვევია „საფუძვლადმდე“, არამედ მხოლოდ გუმბათი აუყრევინებია და გუმბათის თავზე თვისი ტახტი დაუდგამს, კიბეები გაუკეთებინებია ასასვლელად და ამ სიმაღლიდამ დასცქეროდა მტარვალი ქრისტიანეთა წამებას.—თემურ ისვან სიონის დარღვევა იმავე ფანტაზიის ნაყოფია და ჩვენმა ისტორიამ არ იცის. არც შაჰ-ისმაილს დაურღვევია „საფუძვლადმდე“ სიონი, მან მხოლოდ „შეაგინა“ ტაძარი, რომელიც განწმიდა კათალიკოზმა ზებედემ იაზმითა. არც როსტომ მეფეს, არც ვახტანგ VI „ხელ-ახლა“ არ აღუშენებიათ „სულ ახალ-პლანზედ საფუძვლადმდე დარღვეული“ ტაძარი, მათ მხოლოდ განაახლეს ეკკლესია, გამოუცვალეს დაძველებილი ქვები, შელესეს, შეამკეს და სხ. ესენიც წმიდა ოფოფებია, მხოლოდ გ. წერეთლის საკუთრება. რომელიც გინდა ჩვენი საისტორიო წყაროები გადაფურცლეთ, ყველანი დარწმუნდებით ამაში, გარდა გ. წერეთლისა. სხვა არა იყოს რა, თვით ამ ტაძრის წარწერები აქამდი თვალითაც დასანახია. როსტომ მეფის დახმარებით თბილელ საგინაშვილს განუახლებია სიონი და ეს განახლება აი რაში მდგომარეობდა: „...მე თბილელმა საგინაშვილმან აღვაშენე გუმბათი კსე სიონისა ორჯერ, სამხრეები და კარიბჭე და დავხატე და შევამკე ყოვლითა სამკაულითა“ (იხ. სამხრეთით წარწერა სიონისა). საიდან «შეთხზა» გ. წერეთელმა, რომ სიონი როსტომ მეფემ „ხელ-ახლა ააგოო სულ ახალ პლანითო“.?

ახლა წავიკითხოთ იმავე სიონის ზედ წარწერიდამ, თუ რა შრომა მიუღია ვახტანგ VI: „...მე...ვახტანგ

რადღება აქვს მიქცეული იმას, რომ ხე-ტყე რიგზედ მოშენდეს და მოიჭრას, მეტადრე კაკლის ხეები; ამას გარდა აპირებენ დააარსონ რამდენიმე სამეურნეო სადგური სოფლებში. ამ სადურებმა უნდა გამოიკვლიონ ნიადაგი და ჰაერი და სამეტეოროლოგიო მეთვალ-ყურობა გასწიონ. ამ ჟამად ამ საქმეს ასრულებენ ქალაქებში—სამეტეოროლოგიო სადგურები და მაზრებში—საერო სასწავლებლების მასწავლებლები,

⁂ 12 აგვისტოს ოლგას ქუჩაზედ იპოვნეს რვა დღის დაბადებული ბავშვი და საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

⁂ 20 ამ თვისას ღამის 8 საათზედ ავჭალის ქუჩაზედ არტილერიის უფროსის სადგურში შევიდა ტფილისის მცხოვრებელი გიორგი გოლოვკოვი და მუნდირი და პერანგი მოიპარა, მაგრამ დამნაშავე იქვე შეიპყრეს.

—

შეცდომის გასწორება. ჩვენის გაზეთის კვირის მე-179 ნომერში ერთი შეცდომა შეპარულა: პირველ გვერდის ფელეტონის მეორე სვეტის ოთხი სტრიქონი თავში საფელეტონო ხაზს ზემოდ არის ატანილი. ამიტომ წამკითხველი ფელეტონის პირველ გვერდის წაკითხვის შემდეგ უნდა ასცდეს მეორე სვეტის საფელეტონო ხაზს, ოთხი სტრიქონი წაიკითხოს და მერე ისე დაუბრუნდეს მეორე სვეტს ფელეტონისას.

დამაკვირდი

—

სამ გვარი მეგობრები მყავს: ისინი, რომელთაც ვუყვარვარ; ისინი, რომელნიც სულ არ მაქცევენ ყურადღებას, და ისინი, რომელთაც ვძულვარ.

შამფორტი

**

საუკეთესო ადამიანები ყოველთვის იქ იბადებოდნენ, სადაც სხვა-და-სხვა გვარი ხელოვნება ჰყვაოდა.

ვინკელმანი

**

ფრიად ცოტაა ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომ გულწრფელად უნდოდეს თავის' შესახებ სიმართლის გაგონება.

ლარუშფუკო

კორესპონდენცია

—

ბეჟათუბანი (შორაპნის მაზრა), 21 აგვისტოს. ბეჟათუბნის საზოგადოებაში შვიდასი კომლი მცხოვრებია; ამოდენა საზოგადოებას არა ჰქონდა აქამომდე არც ერთი ხეირიანად მოწყობილი სასწავლებელი. ერთად-ერთი სოფლის ბაბის სამრევლო სასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებდა აქაურ მოზარდ თაობის სწავლის წყურვილს. არსებობდა აქამომდე სოფელს ნებოძირის სასწავლებელი, მაგრამ ეს შკოლა ზამთარში დაიხურა. ხარაგაულის ბოქაული ალექსანდრე წერეთელი დიდი ხანია სცდილობდა ჩვენს საზოგადოებაში ერთს რიგიანს საფუძველზედ დამყარებულ სასწავლებლის დაარსებას. ბევრს ელაპარაკა ხალხს, ბევრჯელ შეტუქსა, ბევრჯელ დაუყვავა და სადაც-კი მიდიოდა, სულ სწავლის საჭიროებაზედ ლაპარაკობდა. მისმა მეცადინეობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. წელს თიბათვეში ბოქაულის თანადასწრებით საზოგადოებამ გადასწყვიტა დაარსებულ იქმნას ბეჟათუბნის საზოგადოებაში სამინისტრო უწყების სასწავლებელი. ხაზინა ამ საქმისათვის შეეწია თექვსმეტის თუმნით, სახლი ნაქირავებია, სასწავლებლის ხარჯი გაწერილია მცხოვრებლებზედ და მასწავლებელიც უკვე დანიშნულია, ასე რომ მომავალ ენკენისთვიდგან სწავლა დაიწყება ხსენებულს სასწავლებელში. პატივცემული ბოქაული შუამდგომლობს რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რომ საზოგადოებას სასწავლებლის სამუდამოდ მოსათავსებლად დაუთმოს ძველი სადგური ბეჟათუბნისა.

ც.

—

ქ. სიღნაღი, 19 აგვისტო. სიღნაღელებს გვეწვივნენ არტისტი-ქალი მ. გ. ძნელაძისა და არტისტი კ. ს. მესხი. 16 აგვისტოს გაჰმართეს სიღნაღის კლუბის დარბაზში კონცერტი ორს განყოფილებად. ქ-ნმა ძნელაძისამ იმღერა რამდენიმე ქართული ხმაც. საუცხოოდ იმღერა ,,ნანა, შვილო'', ,,შენ გეტრფი მარად'', ,,გულნარა'' და სხვანი. კ. ს. მესხმა შეასრულა იმერული სცენები. ამ იშვიათს სტუმრებსა და იშვიათსავე სანახავს, სამწუხაროდ, როგორც შეეფერებოდა, ხალხი ისე ვერ დაუხვდა, შემოსავალმა ხარჯიც-კი ვერ დაჰფარა. სულ შემოსავალი ჰქონდათ 22 მანათი. მთელი დარბაზი ცარიელი იყო და ამაოდ უცდიდნენ სკამები მუშტრებს. როდესაც ქ-ნი ძნელაძისა, ,,ნანა, შვილო''-ს და ,,შენ გეტრფი მარად''-ს მღეროდა, იქვე კლუბის წინ ბულვარზედ გაისმოდა ათას ნაირი უმსგავსი ხითხითი ქალ-ვაჟთა. პირველი განყოფილება რომ შეასრულეს, შემდეგ მეკონცერტეებმა სთხოვეს კლუბის წევრს შავერდოვს: ,,სთხოვეთ ხალხს, შემოვიდნენ და დასხდნენ, რას უსხედან მეიდანზედ და ლაზღანდარობენ, არა გვინდა-რა მაგათი, ისე ამოვიდნენო'', მაგრამ არც ამან იმოქმედა გულ-ქვავ ხალხზედ და სათოფე მანძილზედაც არ მიეკარნენ კონცერტს, მხოლოდ რამდენიმე ყმაწვილი-კი ამოვიდა. როგორც ზევითა ვთქვით, შემოსავალი ჰქონდათ 22 მანეთი და ხარჯი-კი 24 მან. 40 კ., ესეც იმიტომ იყო ასე ცოტა, რომ კლუბის ქირა აღარ გადაახდევინეს არტისტებს, რომელნიც, ამ ათის მანეთის შეღავათის გარდა, ჯიბიდგან დააყრიდნენ 2 მან. 40 კ. ესეთი სტუმართ-მოყვარე გახლავართ ჩვენ სიღნაღელები.

ჩვენი დიასახლის-მანდილოსნები-კი თავებს ირჩობენ ლოტოში, ღამე დღედ გირდაჰქცევიათ და დღე ღამედ. შინ ყმაწვილებს გვისუსტებენ ტირილით და გარედ ჯიბეს ითხელებენ. მერე განა მანეთობით აგებენ? თუმნობით, ბატონებო, თუმნობით. ერთი რაღაც მოდა შემოუღიათ ჩვენს ქალებს, გარდა კლუბ-ვეჩერ-ლოტოსი: კვირაში ორჯელ თუ არა, ერთხელ მაინც შეჰყრიან პაწაწა ბავშვებს კლუბის დარბაზში, ,,საყმაწვილო საღამოთ“ ჵ აცუნცრუკებენ, ვითომც თამაშობას ასწავლიან. საცოდავი ბავშვები თვალებ-დაჭყეტილი შეჰყურებენ ერთი-ერთმანეთს ზურნის ჰყიტინისა და დოლის ბრახუნით გამობრუებულნი. წავლენ-წამოვლენ ხოლმე თორმეტ საათზედ, ხან უფრო გვიან. ცალკე უძილობით და ცალკე ზურნა-დოლის ბრახუნ-ჰყიტინის ხმით თავგაბრუებულ-დარეტიანებულს ბავშვებს მოათრევენ ტირილ-წუწუნით შინ. მეორე დღეს ყურებს გვიჭედავენ იმათი დედების ტრაბახი: ქალო, წუხელის ჩემმა ელიჩკამ (დიაღ, ელიჩკაა, ესეც მოდა გახლავთ, ,,უჩკოდ'' სახელს ვერ გაიგონებთ) დენცკი ვეჩერში'' მყვანდა, თქვენმა მზემ, ისე ითამაშა, ისე, რომ მთელი საზოგადოება გააკვირვა, აბა ქალო, ლეკური, კადრიელი და სხვები. დედა მენაცვალოს, ეხლა სძინავს, ნამწარევია'', აი ეს ლოტოს ლოთები და ,,დენცკის მევეჩერეები'' ხითხითებდნენ ბულვარზედ, მაშინ, როდესაც ქ-ნი ძნელაძისა სასიამოვნოდ არაკრაკებდა ხმას.

ერთი შენიშვნაც არტისტებს. ეს დალოცვილები არ ვიცით, ესენიც ამ უგულო ხალხს ეჯიბრებიან, თუ რაამბავია. ისე ასწევენ ხოლმე ადგილის ფასს, რომ ადამიანის ჯიბეს ვერ აუტანია. ეხლაც ფეხზედ მდგომელების ბილეთი ღირდა 50 კაპ. აბა ვინ იყიდის ამ სიძვირე ბილეთს, მეტადრე, თუ ფეხზედ დგომასაც იყო იძულებული. რამდენიც იაფი იქნება ბილეთი, მით უფრო ბევრი ხალხი დაესწრება და მოთამაშენიც მოგებაში იქნებიან.

ქართველი

რუსეთი

—

მასწავლებელთა ურთიერთობის დამხმარებელ საზოგადოებათათვის შემუშავდა ნორმალური წესდება, რომელიც ამ ჟამად უკვე დამტკიცებულ იქმნა საერო განათლების მინისტრის მიერ. ამ საზოგადოებათ მიეცათ უფლებანი ყოველ გვარი ღონისძიება იხმარონ თავის წევრთა კეთილდღე-

---

განმაახლებელი გუმბათით ღომთვინის ცვლით მონასტრისა ამის... ქრისტეს აქეთ: ჩღი:'' (1710წ.). აბა, გ. წერეთელო, სად არის აქ «ხელახლა აგება ტაძრისა სულ ახალ-პლანით? გადამახინჯება, ,,გადაქნა'' და ,,შექმნაც'' აი ეს არის! განა ამისთანა ,,გადამქნელთან!'' კიდე ღირს საუბარი? მოდი და ენდე ამისთანა ,,ხელ-სამძღვანელოს'' პატრონს!!

რასაკვირველია, ეს და სხვა უმრავლესი ამ გვარივე სიცრუვე გ. წერეთელს დასჭირდა თავის გამოსახსნელად იმ ტყვეობისაგან, რომელშიაც ჩააგდეს იგი და მისი „მხატვრობით ხუროთ-მოძღვრებითის ისტორიის მეცნიერება“ ,,ისტორიულმა ოფოფებმან''; რადგან ჩემგან ჩამოთვლილის უძველესის ეკკლესიების აღმოსავლეთის კედლის გრკალიანობა ძირიანად ამხობდა მთელს მისს ,,ახალ- სისტემ- სინტეზ- პრინციპებიან'' მეცნიერთათვის აღწერილს ,,ხელ-სამძღვანელოს'', ამის გამო მას უნდა უსათუოდ სიცრუით მაინც დაერწმუნებინა არა - სპეციალისტი მკითხველი, რომ ყველა ის ეკკლესიები ძირიდამ დანგრეულებიაო და ,,სულ ახალ-პლანზე'' აგებულებია შემდეგს დროებშიო. დრანდის ეკკლესია გ. წერეთლისავე ,,მეცნიერულის'' დამტკიცებით მეათე საუკუნეზე ადრეა აღშენებული (,,კვალი'' 1893, № 13), მაგრამ იმის აღმოსავლეთი კედელი მაინც გრკლოვანია. საფარას დიდებული ტაძარი აღშენებულია XIV საუკუნეში (ბროსსეს აზრი, გ. წერეთლის მიერ გაპატიოსნებული), მაგრამ, გ. წერეთლისავე მოწმობით, მას აღმოსავლეთის კედელი ბრტყელი აქვს (,,კვალი'' 1894 წ. №18). წახდა თქვენი ,,ხუროთ-მოძღვრება''!—ტბეთის ტაძარს ყველა ტაძრებზე უმეტესად აქვს ფრთები გამოწეული, მაგრამ ის ტაძარი მაინც ძველია (აშენებულია 900—918 წ.) და ამასთან გრკლოვანიც არის (იხ. ყაზბეგის გადმონახატი და ქ-ცხ. I, 199); ბანისის ეკკლესია მეცხრე საუკუნისა გრკლოვანია (ქ-ცხ., გვ. 198—199); აგრეთვე გრკლოვანია ყუმურდო, აღშენებული 964 წ., ოპიზი მეცხრე საუკუნისა, სხალტბა, ოშქი, და სხვ. წახდა თქვენი ,,ახალ-სიტემ-სინტეზის'' ხუროთ-მოძღვრება!

,,სამთავისი მონგოლებს დაუნგრევიათ, მოგვიჰყორებს ბ-ნი გ. წერეთელი, და მეთოთხმეტე საუკუნეში შერეულ (თუ გადარეულ?) გეგმაზე (ე. ი. გეგმა დაუდგამთ და მაზე სამთავისის ტაძარი აუგიათ) აუშენებიათ''. ხალასი სიცრუვეა! სამთავისი რომ არ დაუნგრევიათ მონგოლებს, ეს, სხვა რომ არა ვთქვათ რა, თვალითაც დასანახია: ძველი ქანდაკობა და ყველა ძველი წარწერები ახლაც ამშვენებს ამ ტაძარს, რომელიც, ჩვენს დრომდე მოღწევნულ ძველთა ზედ-წარწერითა ჩვენებით, ილარიონ ყანჩაელს აუშენებია 1030 წ., მისი ეკვდერი აუგია 1056 წ., მარანი და საწნახელი აუშენებია 1050 წელს. ყოველივე ეს თვალითაც დასანახია. აბა საიდამ შეთხზეთ მონგოლების მიერ სამთავისის დანგრევა, გ. წერეთელო? ნუ თუ ეს არის ,,ის საბუთები მეცნიერებისა'', რომელნიც, როგორც გვარწმუნებთ (,,კვალი'' 1894 № 25, გვ. 13), შორს არ არის თქვენგან (უკაცრავად, ეს საბუთები მარტო თქვენი ფანტაზია არის). მაშ ალბად იმავე «მეცნიერების საბუთებით» გამოგიკვლევიათ ისიც, რომ ვითომ მცხეთის ტაძარი «დანგრეულა მიწის ძვრით (ძვრით?) და როსტომ მეფეს აუშენებია» «ახალ შერეულ პლანით»? სადა გაქვთ ეს «მეცნიერული საბუთები». რასაკვირველია, არც გქონიათ, არცა გაქვთ და არც გექნებათ. ყველა საისტორიო წყაროები, რომელნიც გ. წერეთელს ვერ დაუძლევია, და თვით ზედწარწერა მცხეთისა თანახმად მოგვითხრობენ, რომ როსტომ მეფის დროს მცხეთის გუმბათი ჩამოვარდნილა და როსტომ მეფეს მარიამ დედოფლითურთ აუშენებია 1646 წელს, მაგრამ თვით მეფე არ ასულა გუმბათზე „დასათვალიერებლად“, არც ჩამოვარდნილა იქიდამ, ვითარცა თქვენგან წამებული დავით აღმაშენებელი, და არცა დამსხვრეულა. ბევრჯელ განუახლებიათ დაქცეული მცხეთა, მაგრამ „ახალ შერეულ პლანზე ხელ-ახლა“ არავის უშენებია. ამისნი უტყუარნი მოწამენი არიან თვით ის წარწერანი, რომელნიც ეკუთვნიან მეთერთმეტე საუკუნის დასაწყისს და ახლამდი დარჩენილან მცხეთის აღმოსავლეთის კედელზე და დასავლეთის კარიბჭეზე. მაგრამ რაღა ველაპარაკოთ იმას, ვინც გუმბათს ვერ არჩევს ტაძრისაგან, განახლებას აღშენებისაგან, და „მეცნიერულ საბუთებად“ მიაჩნია მხოლოდ საკუთარი თვისი ფანტაზია? „შერევაც“ და გადარევაც აქედამ ადვილად მოსალოდნელია. მაგრამ ჩვენ-კი (და თქვენც, მკითხველო) ღმერთმან გვაშოროს „შერევაცა“ და გადარევაც!

მარტვილის გრკლოვანი ეკკლესიაც გ. წერეთლის რწმენით მეთორმეტე საუკუნეშია აშენებული, მაგრამ ამის გასაცრუებლად საკმაოა ბროსსესგან გადმოღებული მინაწერები, რომელნიც ჰმოწმობენ მის აღშენებას მეათე საუკუნეში; ამასვე ამოწმებენ თვით ,,ქართლის ცხოვრებაც'', ვახუშტიცა, ბაქრაძეც, ჩვენი ,,ქრონიკებიც''. მაგრამ ამაოდ: გ. წერეთლის ცალიერ-სიტყვაობით ,,ხუროთმოძღვრებას'' ვერა საბუთი ვერ სძლევს და მისს ,,ახალ-სისტემ-სინტეზის მოძღვართ-მოძღვრობას'' და ,,ხელ-სამძღვანელოს'' ყველა მეცნიერი ხმა-ამოუღებლივ უნდა ეთაყვანებუქნარებოდეს (იხ. Uoyage arch. Rap. VII 12; ,,ქართლის ცხოვრება'' გვ. 197; Hist. de la Géeor. I, 278, ი. 8; ვახუშტი და ბაქრაძე გვ. 138 და სხ.),

ნუ თუ ესეც ,,შერევა'' და გადარევა არ არის?

მერე იცით როდის და რის გამო გამოიგონა ,,ხუროთ-მოძღვარმან'' ,,შერევა'' ანუ ,,შერეული გეგმები“? როდესაც ,,ისტორიულმა ოფოფებმან'' ,,დაიჭირეს დათვის ბელი, ყელზე შეაბეს საბელი'' და გ. წერეთლის მიერ გამოგონილი მეცნიერება საყდრების სიძველის გამოცნობისა მათის აღმოსავლეთის კედლების გრკალიანობით, გინა ბრტყელიანობით სრულიად განადგურდა ისტორიულ საბუთებითა და ფაქტებით, სწორედ მაშინ ბ-მა გ. წერეთელმა „შეჰირვებულმან'' გამოიგონა და ,,შექმნა'' ესრედ წოდებული ,,შერეული გეგმები'' და გამოაცხადა, რომ საქართველოს ეკკლესიები თითქმის ყველა, გარდა რამდენისამე, ,,შერეული გეგმისანი'' ყოფილან, ახლა გ. წერეთელს იმედი აქვს ამ ,,ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპიან'' მანქანით ყოველ განსაცდელიდგან ხელიდამ გაგვიძვრეს: თუ შეურყეველ საბუთებით დავუმტკიცეთ, რომ ეს, თუ ის ძველი ტაძარი გრკლოვანია, მაგრამ ძველი (გ. წერეთლის ,,ხუროთ-მოძღვრებით''-კი უსათუოდ ახალი უნდა იყვნენ), გინა ბრტყელ-კედლოვანია, მაგრამ ახალი (გ. წერეთლის ,,ხელ-სამძღვანელოთი''-კი უნდა იყვნენ უსათუოდ ძველნი), მაშინ „ახალ-სისტემ- სინტეზ-პრინციპების'' პატრონი იმ წამსვე მოგვაძახებს: არა, ეს ,,ბრტყლოვანი'' ტაძარი ქართულ გეგმისა კი არ არის, ,,შერეულიაო'' და იმიტომ არის ახალიო; ხოლო ის ,,გრკლოვანიც'' ამისთვის არის ძველი (და არა ახალი), რომ ,,გადაურევია''. ამ ნაირად ამ ,,ახალ სისტემის მანქანით'' გ. წერეთელს იმედი აქვს ყველა საბუთსა და მახეს გაექცეს.მაგრამ მოგეცათ წყალობა, რომ ვერ გაგვექცეს ეს ,,ახალ სისტემის'' მეცნიერი, ჩვენ ეხლაც უკვე მაგრად დაბმული გვყავს საბუთებითა და მისს ,,ხუროთ-მოძღვრებას'' ვერ იხსნის ,,ოფოფებისაგან'' ვერც მისი ,,ახალ-სისტემ-სინტეზ-პრინციპები'', ვერც ,,შერევა'' და ვერც გადარევა. ვერ დაიჭირვის ხელითა მხოლოდ მისი ფანტაზია-ფრთოსნობა და აჩრდილ-ჰაეროსნება, რომელსაც ვერა ჯაჭვ-საბელი ვერ უძლებს: ,,ვერ დაიჭირავს აჩრდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი''... (შოთა).

მაგრამ რომ ამ მსუბუქ-ფრთოსანს ფანტაზიასაც რამდენადმე მიმოფრიალი დავუმძიმოთ, ჩვენ შემოვუყაროთ გ. წერეთელს ახალი ,,ისტორიული ოფოფები“. ამოვარჩევთ ამ ,,ოფოფებს'' თვით გ. წერეთლის იმ „ისტორიულ გამოკვლევათაგან“, რომელნიც დაუწერია ,,ახალ-სინტეზ-სისტემ-პრინციპებით" „ხელ-სამძღვანელოდ“ მეცნიერთა.

(შემდეგი იქნება)

ობისათვის. ყველა საზოგადოება მოვალეა ყოველ წლივ თავის მოქმედების ანგარიში წარუდგინონ იმ სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, რომელშიაც არსებობს ეს საზოგადოება.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შემოდგომაზედ არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელიც განიხილავს კანონმდებლობას შესახებ გამსესხებელ კასსების და ლომბარდებისა. კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროების წარმომადგენელნი. იმავე კომისიას დაევალება გამოიკვლიოს საშუალებანი იმ საზოგადოებათა გასაძლიერებლად, რომელთაც განზრახვა ექმნებათ მოძრავ ქონებათა დაგირავება საურთიერთო თავდებობით.

—

საიმპერატორო საარხეოლოგიო კომისიამ საყოველთაო ბრძანება წარუგზავნა ყველა უწყებას და სთხოვს, რომ ყოველი ისტორიული ნივთი, რომელიც-კი შესაძლებელია იპოვნონ მიწის თხრის დროს, მაგალითად, როდესაც ახლად გაჰყავთ სადმე რკინის გზის ლიანდაგი, ეს ნივთები უეჭველად სიფრთხილით უნდა შეინახონ და ამ კომისიას გადასცენ. ამასთანავე რადგან ხშირად მეცნიერებისათვის ძვირფასი ნივთები კერძო კაცს ჩაუვარდება ხოლმე ხელში იაფ-ფასად, კომისია სთხოვს გამოცხადებულ იქმნას, რომ ყოველ ისტორიულ ნივთს იგი იყიდის ბევრად უფრო მეტ ფასად, ვიდრე ნივთი ეღირება.

—

ბევრმა საქალაქო თვით-მმართველობამ შუამდგომლობა დაიწყეს ჯეროვან მთავრობის წინაშე, რომ ამ ბოლო დროს ხელოსნობა ძალიან ეცემა ძირს და საჭიროა წესიერი ზედამხედველობა იქმნას დაწესებული. გუბერნატორებმა ეს საგანი გარდასაწყვეტად წარუდგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელმაც ეხლა აუწყა გუბერნატორებს, ჩემის მხრივ წინააღმდეგი არა ვარ, რომ საქალაქო თვით-მმართველობასთან სახელოსნო კომისიები იქმნას დაწესებული და ამ კომისიებმა ადევნონ თვალყური ხელოსნებსაო.

◆ ◆

უცხოეთი

—

გერმანია. ბერლინის გაზეთები სწერენ: ანარქისტთა საზოგადოებათა რიცხვს თანდათან ემატება. ასეთი საზოგადოება ამ ჟამად თოთხმეტია, ბრემენს, ლიუბევს, ნორდჰაუზენს, რიკსდორფს, მაინცა, ჰალლეს და კიდევ სხვა ქალაქებში. ეს საზოგადოებანი ოფიციალურად არსებობენ ნამდვილად-კი ანარქისტების საზოგადოებათა რიცხვი ოცდაათზედ მეტია. ეს საზოგადოებანი ძლიერ მხნედ მოქმედებენ. დღე არ გაივლის, რომ ანარქისტები სადმე არ შეიკრიბნენ. თანდათან ძლიერდება აგრეთვე ანარქისტიბს ლიტერატურაც. თითოეული ტომი ანარქისტთა წიგნებისა ღირს სულ 5 ფენინგი. ეს წიგნები ძლიერა ვრცელდება, განსაკუთრებით მეხუთე ტომი „სისტემა ნამუშავრის ფასისა“, თხზულება პეტრე კრაპოტკინისა და ტომი მეექვსე „ანარქისტთა მიზანი“ ამ წიგნს ზედ აწერია: სასურველია განსაკუთრებით ეს წიგნი გავრცელდეს ხალხში, რადგანაც ამ ჟამად ანარქიზმი უპირველესი მოძღვრებაა და რადგანაც ამ მოძღვრებას ბევრნი ცილსა სწამებენ და ჰკიცხავენ.

ანარქისტების ერთს გაზეთში დაბეჭდილია წერილი შემდეგის სათაურით: „კანონიერი მკვლელობა» გაზეთი სხვათა შორის სწერს: როცა იმ ადამიანს (კაზერიოს),„ რომელმაც მოისურვა თავის სიცოცხლის შეწირვით კაცობრიობას დახმარებოდა, თავი მოსჭრეს, ზოგიერთმა წუწკმა კაპიტალისტმა და მოხელე ემ „ბრავა“ დაიძახეს... მეორე დილას კაზერიოს საფლავზე ? აიმართა წითელი დროშა, და მედიდურად უჩვენებდა ერს, რომ იქ მარხია გვამი თავისუფლებისთვის მებრძოლესი და რომ ეს ომი თავისუფლების მოპოებისთვის ჯერ არ გათავებულა.

—

საფრანგეთი. პარიჟის გაზეთები იუწყებიან: სწორედ რომ სთქვას კაცმა, ანარქისტთა რიცხვი მეტად დიდია, იმაზედ დიდი, ვიდრე აქამდე ჰფიქრობდნენ; ყოველ დღე ახალ ანარქისტების სახელები გვესმის... იყო თუ არა შეთქმულობა დიუპუის წინაამღდეგ? გადაწყვეტით ძნელია ამისი თქმა. ანარქისტების მოქმედებას ძლიერ გაფაციცებით ადევნებენ თვალ-ყურს. დღე არ გავა, რომ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს რამდენიმე წერილი არ მიუვიდეს პრეფექტებიდგან, რომლებიც ატყობინებენ, ესა და ეს საეჭვო კაცები ამა და ამ ქალაქში წავიდნენო. უფრო დიდად ადევნებენ თვალყურს ანარქისტებს ზღვის ნაპირებსა და საზღვრებზედ მდებარე ქალაქებში. ანარქისტებმა ეს კარგად იციან და საფრანგეთიდგან უცხო ქვეყნებში მიდიან, მაგრამ იქაც სასტიკად ადევნებენ თვალყურს და ყოველ ანარქისტის მისვლასა და წამოსვლას საფრანგეთის მთავრობას ატყობინებენ. უმთავრესი ბუდე ანარქისტთა ლონდონია. ეს ქალაქი მეტად დიდია და იქ ანარქისტები ადვილად ჰფარავენ თავიანთ ვინაობას. ლონდონში ერთად ერთი კაცია, რომელიც კარგად იცნობს ყველა ანარქისტებს. ეს კაცი პოლიციის ინსპექტორი მელვილია, მაგრამ იმას იმდენი საქმე აქვს, რომ ანარქისტთა თვალ-ყურის გდებას ვერ ასდის. ყველაზედ საშიშარი ადგილები საზღვარზედ მდებარე დეპარტამენტებია, რადგანაც აქ უფრო ადვილად გადადიან ანარქისტები ერთი ქვეყნიდგან მეორეში. ამიტომ პირინეის აღმოსავლეთ დეპარტამენტებს მეტად ადევნებენ თვალ-ყურს განსაკუთრებით იმ დღიდგან, რაც იქ მინსტრ-პრეზინდეტი დიუპუი სცხოვრობს. დიდი ყურადღებაა მიქცეული აგრეთვე Pont sur Seine-ის თვის, სადაც ამ ჟამად კაზიმირ პერიე იმყოფება.

—

კორეს საქმე. თურმე ევროპის სახელმწიფოთ ჟურნალ-გაზეთებს იაპონიასა და ჩინეთ შორის ომის შესახებ დროზედ არ მოსდის ცნობები. მაგალითად საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინსტრმა მხოლოდ ამ დღეებში მიიღო ამბავი, რომ საფრანგეთის მისსიონერი ჟოზო, რომელიც კორეს იყო, 16 ივლისს მოჰკლეს ჩინელებმა.

ეს ამბავი იმიტომ დაგვიანებულა, რომ ჩინეთსა და იაპონიაში ტელეგრაფის მავთულები შეჭრილია.

ჩემულპოდგან იწერებიან, რომ კორესა და იაპონელთა ჯარების ჩხუბის დროს იაპონელებმა მოჰკლეს მიკადოს ელჩი. ეს ცნობა დამტკიცებული ჯერ არ არის. აგრეთვე არ არის ჯერ დამტკიცებული ის ცნობა, რომ პენგ-იანგსა და ჰუნგჰოსთან ჩინელებმა გაიმარჯვესო.

ამერიკის ელჩმა შან-ჰაიში იქ მყოფ იაპონელებს ურჩია, თქვენი ტანისამოსი აღარ ჩაიცვათ და რაც შეიძლება მალე დასტოვეთ ჩინეთიო.

შანჰაიდგან იუწყებიან, რომ იქ ბრძანება გამოვიდა, უცხოელნი ახლოს არ მივიდნენ კიანგ-ნანის ტყვია წამლის საწყობთანაო.

ბოგდიხანის ბრძანებით მანჩჟურიისა და პეკინის პროვინციებში უნდა მოჰკრიბონ 100,000 ჯარის-კაცი. ეს ჯარი მიემატება ტუნგ-ჩეუს, სან-ჰოს და ტანძინის ჯარებს პეჩილიის პროვინციებში. იმპერატრიცამ ლი-ჰუნგ-ჩინგს 12,000,000 ტაჰნი (ტაჰნი 2 მანეთია) გაუგზავნა სამხედრო საქმეთათვის.

დასასრულ იაპონიიდგან იუწყაბიან, რომ იოკოჰამისა, ნაგასაკის და ტოკიოს ნავთსადგურების შესავლებში ნაღებია ჩაყრილი.

რა თქმა უნდა, რომ ამ მოკლე ცნობებიდგან კაცი ვერ გაიგებს ნამდვილს ვითარებას კორეს საქმისას.

◆ ◆

წერილი რედაქციის მიმართ

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებთ ქეთომე ჯეგემაას მეს თალაკვაძეს, რომელმაც ასკანის სახალხო წიგნთ საცავს შემოსწირა ოც-დახუთი მანეთი.—(25 მ.)

გამგე წიგნთ-საცავისა სოლომონ ჭეიშვილი

◆ ◆

შემოწირულება

—

ჩვენ მივიღეთ მიხეილ გველესიანისაგან ტფილისში შეკრებილი შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ 5 მან. ეს ფული შემოუწირავთ: აზიზა ოსეფოვს, ოსმალეთის ქვეშევრდომს,—1 მან., მიხეილ გველესიანს —2 მან., სუმბათა ქათაჯიანცს—2 მან., ამ ფონდისა გვქონდა 1048 მან., 32 კაპ., ამ ფულით შესდგა 1053 მან. 32 კაპ.

◆ ◆

განცხადებანი

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

საპონი

პროვიზორი

ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თვისებას, თმას ზდის და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა, საკუთარი სახლი.

(გ. 17) 20—20


ვერცხლისა


ოქ


ტფილ. გამოფენა.



ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შექმნილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოევის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად ავჭალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიფოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—11

ალალო თუთაევი

„ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ.—კ.		6 თვით	6 მ.—კ.
11 „	9 „ 50 „		5 „	5 „ 50 „
10 „	8 „ 75 „		4 „	4 „ 75 „
9 „	8 „ — „		3 „	3 „ 50 „
8 „	7 „ 25 „		2 „	2 „ 75 „
7 „	6 „ 50 „		1 „	1 „ 50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდველ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათა დე და საღამოობით 6-დგან 7¹/ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою Тифлисъ, 22-го Августа 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.